ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 335

„25" ივლისი 2025 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში მდებარე 2306 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.81.01.149.015) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის 1-ლი მუხლის, მე-2 მუხლის 1-ლი, მე-5 და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში მდებარე 2306 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.81.01.149.015) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 30 ივნისის №25.1091.1228 და „ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2306 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.81.01.149.015) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 30 ივნისის №25.1091.1228 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 24 ივლისის №25.1253.1425 *განკარგულებებით გათვალისწინებული უძრავი ქონების:* ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში მდებარე 2306 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.81.01.149.015), მედეია იაშაღაშვილის (პ/ნ. 01015019083) მიერ მის საკუთრებაში №81.02.99.530 საკადასტრო კოდით, დაუზუსტებელი საკადასტრო მონაცემებით რეგისტრირებული 3000 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 2004 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით ნებისმიერი უფლების/მოთხოვნის დათმობის სანაცვლოდ, პირდაპირი განკარგვის ფორმით

პირობიან პრივატიზებაზე, 76 406 (სამოცდათექვსმეტი ათას ოთხას ექვსი) ლარად, მედეია იაშაღაშვილთან (პ/ნ 01015019083) გასაფორმებელი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 24 ივლისის №25.1253.1425 განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება 1 (ერთი) თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე